



ლექსები

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი * № 2 (85) 28 თებერვალი 2014 წელი

შტრიხები პორტრეტისათვის

მარინა ხარატიშვილი
თამარ ქუთათელაძე

„19 იანვარი შალვა განერელიას დაბადების დღეა.“

ამ თარიღის აღსანიშნავად, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვან 28-ე აუდიტორიაში ყოველ წელს იკრიბებიან ბატონი შალვას აღზრდილები, კოლეგები, მისი პედაგოგიური ნიჭის თაყვანისმცემლები და ოჯახის წევრები“.



გვ. 2 -6

ნუცა კობაიძე

„ანდალუსიური ძაღლი“

გვ. 7-9

თამარ სიჭინავა

უფლება მქონდა მეცოცხლა...

გვ.9-10

თინათინ ემირიძე

ლოთი

წვიმიან ღამეში მთვრალი დავდივარ

გვ. 11-12




შტრისები პორტრეტისათვის




19 იანვარი შალვა განერელიას დაბადების დღეა. ამ თარიღის აღსანიშნავად, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოვან 28-ე აუდიტორიაში ყოველ წელს იკრიბებიან ბატონი შალვას აღზრდილები, კოლეგები, მისი პედაგოგიური ნიჭის თაყვანისმცემლები და ოჯახის წევრები. ადრე, ამ შეხვედრით, საყვარელ პედაგოგს დაბადების დღეს ულოცავდნენ, ამჯერად კი, თანამედროვე ქართული თეატრის მოღვაწეების შთაბეჭდილებებითა და გულწრფელი მოგონებებით, კიდევ ერთხელ წარმოჩნდა ამ ორიგინალური ხელოვანის, პიროვნებისა და პედაგოგის შემოქმედებითი პორტრეტის საინტერესო შტრისები. მიმდინარე წლის ეს შეხვედრა არა მარტო შალვა განერელიას მორიგი საიუბილეო თარიღი, ან მისი გახსენება იყო, არამედ ბატონი შალვას, როგორც თანამედროვე ქართული თეატრის ამ სახელოვანი რეჟისორისა და დიდი პედაგოგის შემოქმედებითი გზის, მისი დამსახურების გააზრების, მეცნიერული შესწავლისა და დაფასებისათვის ახალი გზების დასახვის დასაწყისი.

გიორგი შალუტაშვილი — ბატონი შალვა მრავალთა შორის, ჩემი პედაგოგიც გახლდათ, რომელთანაც ხანგრძლივი თანამშრომლობაც მაკავშირებდა. მასთან შეხვედრა ყოველთვის საინტერესო იყო. დღეს ის ყველას გვაკლია და

ამიტომაც გვინდა გავაცნობიეროთ ბატონი შალვას ადგილი ჩვენი უნივერსიტეტის უახლესი პერიოდის ისტორიაში. თეორიული ფაკულტეტის დეკან გიორგი ცქიტიშვილთან შეთანხმებით, მომავალი წლიდან შემოგთავაზებთ ახალ ფორმატს ამ ორიგინალური ხელოვანის პიროვნებისა და რეჟისორული მოღვაწეობის თაობაზე უკვე სამეცნიერო კონფერენციის სახით. უნივერსიტეტის მუზეუმს გადმოეცემა ბატონი შალვას სტუდენტის მიერ ფარულად გადაღებული სარეპეტიციო პროცესი, ბატონი შალვას ოჯახში არსებული არქივი და ია შერაზადიშვილის მიერ ჩანერილი საათნახევრიანი ინტერვიუ, რომელიც შემდგომ გადამუშავდება და თეატრმცოდნეების ჯგუფი წარმოგვიდგენს მათი კვლევების შედეგებს. ჩვენ შევცვლით იმ დამოკიდებულებას, რაც დამკვიდრებული იყო საქართველოში მრავალი წლის განმავლობაში, როდესაც იცვლებოდა ხელისუფლება და არ იცვლებოდა ასეთი ადამიანების დამსახურებისადმი უდიერი დამოკიდებულება, ან მხოლოდ ხანგრძლივი დროითი დისტანციის შემდგომ ამკვიდრებდნენ მათი დაფასების ტრადიციას.



გიორგი მარგველაშვილი — ბატონი შალვა ჩემთვის, თანამედროვე ხელოვანისათვის, ძალზე



ღირებული თვისებების მქონე პიროვნების უნიკალური ნიმუში გახლდათ. იგი მიეკუთვნებოდა იმ მცირერიცხოვანი პროფესიონალების გუნდს, რომლის სტუდენტობაც მუდამ საოცნებო იყო. მის ჯგუფში მოხვედრას წლობით ელოდნენ. თუმცა, მუშაობის მძიმე რეჟიმს ხშირად ვერ უძლებდნენ და მხოლოდ მოგვიანებით ახერხებდნენ იმის გაცნობიერებას, თუ რა მასშტაბის პედაგოგთან უხდებოდათ მსახიობის ხელობის დაუფლება. ამ ფუნდამენტის გადაცემა სტუდენტისათვის მას საუკეთესოდ შეეძლო. მეც მხვდა ბედნიერება ვყოფილიყავი მისი სტუდენტი. სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი წელი გაგრძელდა ბატონ შალვასთან ჩემი ურთიერთობა. მოხდა თეატრალური სამყაროსათვის ესოდენ ჩვეული შემოქმედებითი კონფლიქტი, ამ მოვლენების შემდეგ კი, მან დატოვა არა მარტო ჩვენი ჯგუფი, არამედ ინსტიტუტიც და მხოლოდ მოგვიანებით დაუბრუნდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. თავისი ხისტი პრინციპულობის გამო, ბატონმა შალვამ ძალზე რთული ცხოვრება განვლო. ის ამ მხრივაც სამაგალითო პიროვნება, სრულიად უბოროტო ადამიანი გახლდათ და იცოდა არაჩვეულებრივი თანადგომა. მისი მოღვაწეობა განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც თეატრიდან წამოვიდა და მთელი ენერჯია უდიდესი აზარტით მოახმარა ახალგაზრდების აღზრდას, რომლებიც მას აღმერთებდნენ. ბატონი შალვა იყო უნიკალური მაგალითი პროფესიონალიზმის, კაცობის, დიდი პედაგოგიური მოღვაწეობის. მასთან ურთიერთობა იყო ძალზე სასიამოვნოც და რთულიც. ეს ძლიერი და პრინციპული, ღრმადმოაზროვნე პიროვნება პატარ-პატარა „ეშმაკური“ ინტრიგების მოყვარეც იყო, რაც მას თეატრალური ხელოვნების მთავარ ფუნდამენტად მიაჩნდა. გარკვეული მიზნის მისაღწევად მას სჩვეოდა ინტრიგის ჩამოგდება, შემდეგ კი შორიდან აკვირდებოდა, როგორ განვითარდებოდა მოვლენები და თავისებურად აკონტროლებდა მისთვის სასურველი მიმართულებით რომ წარმართულიყო იგი. ამით ის თავადაც ერთობოდა და მის ირგვლივ მყოფთაც დაუსრულებლად გვამყოფებდა შემოქმედებითი ძალების მობილიზების, საუნივერსიტეტო სწავლების პროცესის ზრდისა და სრულქმნის რეჟიმში.

შალვა განერელია და მისი წინამორბედი თაობა, XX საუკუნის 40, 50, 60-იანი წლების ქართული თეატრის მოღვაწეების პროფესიონალიზმი ჩვენთვის ძალზე ღირებულია. სწორედ მათ შექმნეს ამ უნივერსიტეტის მყარი ფუნდამენტი, ამიტომაც ჩვენ ვამაყობთ ამ ადამიანებით და ვუფრთხილდებით. ბატონი შალვა იყო ის პედაგოგი, რომელიც ახდენდა თანამედროვე ქართული თეატრალური ხელოვნებისა და პედაგოგიკის იმ დიდი პროფესიონალიზმის ფორმირებას, რომლის ლოგიკური შედეგიცაა ქართული თეატრის პროფესიული მიღწევები. ეს დასაფასებელია.

ბატონ შალვას ძალზე აღელვებდა მისი

სახელოვანი 28-ე აუდიტორიის ბედი, სადაც საფუძველი მნიშვნელოვან პედაგოგიურ ძიებებს ჩაუყარა. ამიტომაც ეს აუდიტორია ჩვენ, სრულიად ლოგიკურად და მიზანდასახულად გადავეცით ბატონ თემურ ჩხეიძეს. ბატონი თემურის პროფესიონალიზმი ქმნის გარანტს, რომ შალვა განერელიას დაწყებული პედაგოგიური კვლევები საშემსრულებლო თუ სათეატრო ხელოვნების ახალი გამომსახველი ენის მოძიების თვალსაზრისით შეუმცდარად იქნება მაღალ ხარისხში განვითარებული.

გიზო ჟორდანია — შალვა განერელია ჩემი თანაკურსელი და ყველაზე ახლო მეგობარი



იყო. პირველი დღეებიდანვე მპატრონობდა და მმეურვეობდა. ზოგჯერ ვაპროტესტებდი მის ასეთ დამოკიდებულებას, რაც უცნაურად ახარებდა და ეშმაკური ღიმილით მირიგდებოდა. ჩვენი ყველა კონფლიქტი მშვიდობიანად მთავრდებოდა. ყოველთვის მიხაროდა შალვას წარმატებები. ჩემ თვალწინ, დედაქალაქის ცენტრალური თეატრების გვერდით მან შექმნა მისი ინდივიდუალური ხელნერით გამოკვეთილი, სრულიად განსხვავებული თეატრი და თუ რუსთაველის ან მარჯანიშვილის თეატრებში დაგვყავდა უცხოელი სტუმრები, მოზარდშიც ამაყად შეგვეძლო მათთვის გვეჩვენებინა თანამედროვე პროცესების შესატყვისი ღრმააზროვანი დადგმები. განერელიას თეატრი, თავიდან ბოლომდე გონების და გულის მიერ იყო აწყობილი. მას მთელი თავისი არსებით უყვარდა ასეთი კამერული ტიპის სათეატრო მოდელი. ამიტომაც მიუხედავად იმისა, რომ არაერთი სერიოზული შეთავაზება ჰქონდა სხვა თეატრებიდან, არასდროს ტოვებდა თავის პატარა თეატრს. რობერტ სტურუამ ჩემივე შუამდგომლობით სთხოვა მას რუსთაველის თეატრში სპექტაკლის დადგმა, შალვამ შეთავაზება მიიღო, თავისებურად, ეშმაკურად გაილიმა და განაცხადა, რომ დადგამდა ოთარ ჭილაძის რომანს „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“, მაგრამ დაამატა, რომ ორი წელი ინსცენირებაზე დასჭირდებოდა სამუშაოდ, წელიწადნახევარს კი სარეჟისორი

➤ 4 გვ.

შტრინები პორტრეტისათვის

დასაწყისი 2 გვ.


პროცესს მოახმარდა. ასეთი პასუხის შემდეგ, ჩემთვის გასაგები იყო, რომ თავისი თეატრის დატოვებას არ აპირებდა. ასეც მოხდა. არ ვიცი ეს რამდენად სწორია, მაგრამ შალვას მის მიერვე აღზრდილი თანამოაზრეთა გუნდი სჭირდებოდა.

ხშირად მახსენდება ჩვენი ერთ-ერთი ბოლო შეხვედრა. ერთ დღეს იგი მოულოდნელად ამიხირდა - რატომ გაცვია შავი პალტო. მე ვუპასუხე, რომ ეს შავი პალტო დიდი ხანია მაცვია-მეთქი, მაგრამ მისი სიტყვების ქვეტექსტი რომ ამოვიკითხე, გული დამწყდა. სწორედ მაშინ დავემშვიდობე მას შინაგანად. დღეს შალვა ჩემთვის მაინც ცოცხალია. უნდა ვალიარო, რომ მიხარია, როდესაც უნივერსიტეტის მეორე სართულზე თვალს შევავლებ ხოლმე შალვა განერელიას აუდიტორიას, მისი სახელობის სამახსოვრო დაფით დამშვენებულს. უნივერსიტეტის დერეფანში ამ აუდიტორიის წინ გავლა-გამოვლისას, სულ რაღაცას ვეკითხები, ვესაუბრები, ისიც მპასუხობს და მგონია, რომ ის ჩემთანაა.

მადლობა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასა და დრამის ფაკულტეტის დეკანატს იმისთვის, რომ საყვარელ ადამიანთან განშორების ტკივილი შეგვიმსუბუქა. აი ახლაც, ვდგავარ მის აუდიტორიაში და ვგრძნობ, რომ ისიც ჩემს ირგვლივ დაფარფატებს, მისი ჩვეულებისამებრ იფხანს წვერს, ეშმაკურად გვიღიმის და ჩვენთან ერთად ხარობს მასზე შეყვარებულ ადამიანებთან შეხვედრით ბედნიერი.

თემურ ჩხეიძე

— ძალიან მიჭირს შალვა განერელიას მიმართ ვიყო ობიექტური. ჩემთვის ის უახლოესი ნათესავი



გახლდათ და თითქმის ერთ ოჯახად ვიზრდებოდით. მასზე უმცროსი ვიყავი და ჩემთვის მუდამ დიდი ავტორიტეტი იყო. ის ტრავმა, რაც მან სრულიად ახალგაზრდამ მიიღო უახლოესი ოჯახის წევრების გარდაცვალების გამო, მარტომ, პრინციპულად გადაიტანა. ამის შემდეგ კი შექმნა საკუთარი თავი და საკუთარი

სახელოვანი ბიოგრაფია. ვფიქრობ, სწორედ თეატრი იყო ის ასპარეზი, რომელმაც მას ყველა ტკივილი შეუმსუბუქა და დაგროვილი სათქმელიც სცენაზე გადაიტანა. ცხოვრების მეორე ნახევარში ხომ მის

არსებაში რაღაც ისეთი მოხდა, რამაც სასწაული შეაძლებინა და დაახვავა და დაახვავა რანგითა და თვისობრივად სრულიად ახალი თეატრის სერიოზული წყება სპექტაკლებისა. სრულიად უეცრად მან ისეთი სპექტაკლები გადმოაფრქვია, რომ მათ გახსენებაზე ახლაც ჟრუანტელი მივლის ტანში. ყოველთვის მიჭირდა მისი სპექტაკლების ნახვა, საშინლად ვიძაბებოდი და ვიმუხტებოდი, მაგრამ როცა მითხრა, რომ თურმე თავადაც უჭირდა საკუთარი სპექტაკლების ყურება, დავემშვიდდი.

მოზარდ მაყურებელთა თეატრიდან წამოსვლა რომ დააპირა, ჩვენ სერიოზულად შევეკამათით. არ მინდოდა დაეტოვებინა ის თეატრი, რომელსაც დიდი ბრძოლით აშენებდა ნახევარი ცხოვრების მანძილზე, მაგრამ მივხვდი, რომ მისი გადანყვებილება იყო არგუმენტირებული და ურყევი. მას ასე უნდოდა. ასე ჩათვალა საჭიროდ.

მრავალი ცნობიერი თუ ქვეცნობიერი მოვლენის გამო, ჩემთვის ათმაგად მნიშვნელოვანია მის აუდიტორიაში მუშაობა. თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში არის სხვადასხვა დიდი მოღვაწის სახელობის აუდიტორია, მაგრამ ჩემთვის შალვა განერელიას სახელობის აუდიტორიაში ყოფნა მრავალმხრივ ღირებულია. ძალიან მინდა სტუდენტებს ავუხსნა, ვინ იყო შალვა განერელია, პროფესიულად ვუხსნი, მაგრამ ვინ იყო „მუმუშა“, ვგრძნობ, რომ ამის ახსნა წარმოუდგენელია, ეს რომ შეიცნოს სტუდენტმა, მან თავად უნდა მოუსმინოს მის სარეპეტიციო პროცესს, ნახოს ის სპექტაკლი, რომელიც შალვა განერელიამ შექმნა და მთელი არსებით იგრძნოს იგი, რომ გააცნობიეროს განერელიასეული ესთეტიკა. შალვა განერელია უნესიერესი პიროვნება იყო. ძალიან მიყვარს ეს ადამიანი. უამრავი რამის გამო ვარ მისი მადლიერი. ჩემთვის ის ბარომეტრი იყო. როდესაც გამიჭირდება ხოლმე, მუდამ ვფიქრობ და მინდა წარმოვიდგინო, როგორ გადაწყვეტდა ამ პრობლემას შალვა განერელია და მასთან ეს მიმართვა ყოველთვის მეხმარება.

ავთო ვარსიმაშვილი

— მე არ მახსოვს, როდის ვნახე პირველი თოჯინური სპექტაკლი ან ფილმი, მაგრამ კარგად მახსოვს პირველად როდის ვნახე დრამატული სპექტაკლი. ეს იყო მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში შალვა განერელიას მიერ დადგმული ვ. კატაევის „თეთრად ფრიალებს აფრა ეული“ და მას მერე ვიყავი ამ საოცარი რეჟისორის ფანი. რიგითი



სპექტაკლიდანაც კი მოჩანდა ამ ორიგინალური რეჟისორის აზროვნების მაღალი კულტურა. მე ვნახე მისი ყველა სპექტაკლი და ჩემი სტუდენტური წლებიდან კიდევ უფრო გამყარდა ჩვენი მეგობრობა, ხოლო მას შემდეგ, რაც თავისუფალი თეატრი შევექმენი, კიდევ უფრო დავაფასე მისი შეუფასებელი პიროვნული ღირსებებიც. ვიზიარებდი მის დიდ ვნებას ახალი თეატრის შენების გამო და ვცდილობდი შეძლებისდაგვარად, მუდამ მის გვერდით ვყოფილიყავი. ეს სავარძლები, რომლებიც მის სახელოვან 28-ე აუდიტორიაშია განლაგებული, ჩემი ნაჩუქარია და ვამაყობ, რომ მეც მიმიძღვის პატარა ნვლილი მისი მინიატურული თეატრის შექმნისათვის ხელშეწყობაში. ჩემი თეატრის დასსაც ძირითადად მისი აღზრდილი მსახიობები შეადგენენ. ჩვენ დიდი პატივისცემით დავდგით თეატრში შალვა განერელიას სახელობის სავარძელი, რომლითაც ხშირად სარგებლობდა და ჩვენი თეატრის ყველა სპექტაკლს ნახულობდა. ერთხელ ალექო მახარობლიშვილიც კი წამოაყენა მისი ადგილიდან, - უკაცრავად, ვის სკამზე დაბრძანებულხართო?! ბატონი შალვა იყო მცირედთა შორის ის გამორჩეული პიროვნება, რომლის აზრიც მუდამ მაინტერესებდა და ვითვალისწინებდი. უნდა ვაღიარო, რომ ძალიან მაკლია.

გოგა ბარბაქაძე

— ჩვენ ვნახეთ ბატონი შალვას სტუდენტის მიერ სამოყვარულო კამერით გადაღებული სარეპეტიციო ჩანაწერი, სადაც დაღლილი სტუდენტები თავჩაქინდრულები სხედან და გამახსენდა ჩემი სტუდენტობის წლები. ბატონი შალვა ხომ დაუღალავი იყო. მას ჰქონდა საოცარი ენერჯია და შეეძლო მთელი დღის მანძილზე, თითქმის დაბინდებამდე, ენთუზიზმით ეტა-რე-ბინა რეპეტიცია. ჩვენ ვიღლებოდით, ის კი არა. მას სულ უფრო ეხსნებოდა წარმოსახვის უნარი და დაბნეულ-მონუსხულები ვუსმენდით, თუ როგორ უნდა შეგვეთხზა და გვეთამაშა დაწერილი ტექსტის მიღმა არსებული დაუნერელი ფრაზები. ასეთ დროს თუ ვინმე მოეშვებოდა, მიეპარებოდა ჩუმად, ზურგზე მსუბუქად თითს შეახებდა და აფხიზლებდა. ეს მაგიური ბიძგი გვაიძულებდა მუდამ ფორმაში ვყოფილიყავით შემართულნი და სამუშაოდ განწყობილნი.

ეს აუდიტორია ჩემი სტუდენტობისას პატარა იყო. შემდეგ ბატონმა შალვამ უკანა კედლის ალება მოისურვა. მოიყვანა მუშები. მათ განუცხადეს, რომ ამ საყრდენი კედლის ალება არ შეიძლებოდა. ბატონმა შალვამ საღამოს დაგვტოვა და კედელი აგვადებინა. მოგვიანებით, 28-ე აუდიტორიიდან



გამავალ ოთახში, სადაც ვოკალის გაკვეთილი გვიტარებოდა, მოულოდნელად გვესტუმრა, ჩუმად შემოიპარა, კედელზე თითი დააკაკუნა და გავიდა. რამდენიმე დღის შემდეგ, კედელი აღებული დაგვხვდა. ერთი თვის შემდეგ კვლავ გვესტუმრა, კვლავ ვოკალის ლექციაზე, რომელიც ამჯერად უკვე ყოფილი ვოკალის კაბინეტის მახლობლად მდებარეობდა. ჩვენი პედაგოგი შეშფოთდა, დაყარა ნოტები და რექტორთან გაიქცა საჩივრელად, - მიშველეთ, შალვა განერელია აუდიტორიას მართმევსო. ბატონმა გიგა ლორთქიფანიძემ დაამშვიდა, - ნუ გეშინია, ეგ შეუძლებელიაო, მაგრამ ორიოდე თვის შემდეგ რომ დავბრუნდით, კედელი აღარ დაგვხვდა. ბატონმა შალვამ ის აუდიტორიაც შემოიერთა. ასეთი გახლდათ ბატონი შალვა, სიურპრიზების მოყვარე, უკომპრომისო და მუდამ ბობოქარი. მისარია, რომ დღეს, თითქმის თავგანწირული ბრძოლითა და შრომით შექმნილი 28-ე აუდიტორია ბატონი თემურ ჩხეიძის სახელოსნოა და მშვიდად ვართ.

მარინა ხარატიშვილი

— მნიშვნელოვანია, რომ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტს ამიერიდან ექნება შალვა განერელიას არქივი, სადაც განთავსდება მისი სტუდენტის მიერ ლექციაზე სამოყვარულო კამერით ფარულად გადაღებული ბატონი შალვას სარეპეტიციო პროცესები, მასთან ჩანერილი ინტერვიუები და კადრები სპექტაკლებიდან, რაც საინტერესოდ ასახავს იმ მაძიებლური პათოსით გაუღენთილ გენიალურ ატმოსფეროს, რაც სუფევდა ბატონი შალვას რეპეტიციებზე, შეხვედრებზე, დადგმებზე.

ბატონ შალვას მაღალი პროფესიული თვითშეგნება ახასიათებდა. ამასვე მოითხოვდა თავისი შეგირდებისაგან. სასწავლო პროცესს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. მისთვის სასწავლო პროცესი დაფუძნებული იყო პროფესიის არსის, ხელობის ფლობისა და სპექტაკლის სამზადისის სპეციფიკური ტექნოლოგიის შესწავლის მყარ საფუძველზე. ცდილობდა შეგირდში ინდივიდუალობის გამოკვეთას. ამასთანავე სრულ თავისუფლებას ანიჭებდა მას, რათა თავად მიეგნო, თავად აღმოეჩინა მსახიობის პროფესიისათვის უმნიშვნელოვანესი შთაგონების წყარო.

ბატონი შალვას სტუდენტები დღეს მრავლად მოღვაწეობენ სხვადასხვა თეატრში და





შტრიხები პორტრეტისათვის

დასაწყისი 2 გვ.

თითოეულის ცნობა მათი პროფესიული უნარ-ჩვევების მიხედვითაცაა შესაძლებელი. ამის მთავარი იმპულსი კი თავად მათივე მაცხროს პიროვნული ღირსებები იყო. მუდამ თანამედროვე, მომხიბლავი, ფორმაში მყოფი, მოწესრიგებული პედაგოგი, მისი სტუდენტებისგანაც ყოველთვის მოითხოვდა ყოფილიყვნენ დიდი თეატრალური ოჯახის ღირსეული და გამორჩეული წევრები.

მომავალი წლიდან ბატონი შალვას საიუბილეო თარიღს, დრამის ფაკულტეტი, თეატრმცოდნეებთან ერთად, სამეცნიერო კონფერენციით აღნიშნავს. ჩვენი მიზანია დროულად და აქტიურად წარიმართოს მუშაობა ამ დიდი პედაგოგის დამსახურების საფუძვლიანად და ღირსეულად შესასწავლად. ის ხომ ამ მხრივ, მართლაც, უნიკალური მოღვაწე იყო ბატონი მიხეილ თუმანიშვილის შემდეგ.

თამარ ქუთათელაძე — ჯერ კიდევ მიჭირს ბატონი შალვა განერელიას სახელობის 28-ე აუდიტორიაში შესვლა. ჩვენი ურთიერთობა ოც წელს ითვლიდა და ყოველი შეხვედრისას მეკითხებოდა - „რა მომიტანე?“. ეს კი ნიშნავდა იმას, რომ მასთან შეხვედრისას, მზად უნდა ვყოფილიყავი ან წერილით, ან ახლად ნანახი საპრემიერო სპექტაკლის შთაბეჭდილებებით სავსე. ის ხომ ყველასაგან მოითხოვდა შემოქმედებით ფორმაში ყოფნას.



შალვა განერელია ქართული თეატრალური რეჟისურის XX საუკუნის II ნახევრის დიდი ოთხეულის

ღირსეული წარმომადგენელი და დიდი პედაგოგია. იგი სახელოვანი თეატრალური ინსტიტუტის, სანდრო ახმეტელისა და მიხეილ თუმანიშვილის კლასიკური რეჟისორული სკოლის მემკვიდრეა. მისი სტუდენტობისას, XX საუკუნის 50-იანი წლების თეატრალურ ინსტიტუტში მხოლოდ გამორჩეული ნიჭის 70 სტუდენტი სწავლობდა. მის ირგვლივ ჯერ კიდევ მძაფრად შეიგრძნობოდა ინსტიტუტის დამფუძნებელი თაობის, ქართული თეატრის რეფორმატორული გუნდის მეტრძოლი სულისკვეთება, მათი ტკივილი, ტრაგიკული მოვლენების სუსხიანი გამოძახილი და თეატრიცა და ინსტიტუტიც დიდ კათედრად, წმინდა ტაძრად

იაზრებოდა. მძაფრ ნოსტალგიას წინამორბედთა მიერ შექმნილ ამაღლებულ თეატრზე, შალვა განერელია თან დაატარებდა მთელი ცხოვრების მანძილზე. მისთვის ყველაზე ღირებული კი მაძიებლური პათოსით სავსე რეპეტიცია იყო, სადაც ანგრევდა იდეოლოგიურ კლიშეებს, შტამებსა და აკრძალვებს. მისი სპექტაკლები მაღალი პოეზიის, ცხოვრებისეული პროზის, თანამედროვე ადამიანის ტრაგიკული არსებობის, ინტელექტუალური სიბრძნისა და ჩვენი ყოველდღიური ყოფითი პრობლემების ამსახველი მძაფრი სანახაობა იყო. შალვა განერელიას მიაჩნდა, რომ თეატრი ბრძოლის ველია, დიალოგის, მნიშვნელოვანი პრობლემების გაცხადების, განსჯის ასპარეზია. ამიტომაც მისი მოღვაწეობის ბოლო ეტაპი, უკიდურესად გართულებული რეალობის შესატყვისად, მრავალაზროვანი გამომსახველობითი ხერხების ძიებას, შესაბამისად კი სწორედ თეატრალურ არენას უკავშირდება, საიდანაც მაყურებელი ყოველი მხრიდან უთვალთვალეებს მსახიობს და აიძულებს მუდმივად ხვეწდეს და სრულყოფდეს საკუთარ საშემსრულებლო არსენალს.

ბატონი შალვა შინაგანად თავადაც დიდი მსახიობი გახლდათ, იცოდა ნებისმიერი როლის უაღრესად გამომსახველი თამაში და სხვადასხვა თეატრში მოღვაწე მის ყოფილ სტუდენტებშიც უმაღლესი შეიცნობთ შალვა განერელიას მოძრაობას, მის გამოხედვას, პლასტიკას, ხმას, განერელიასეულ ამაღლებულ დამოკიდებულებას თეატრისადმი. მას ხომ ფანატიკურად უყვარდა თეატრი და ზრდიდა შინაგანი კულტურით განათებულ მსახიობს, რომელიც გრძნობს უდიდეს პასუხისმგებლობას არა მარტო თეატრალური სამყაროს, არამედ მისი პედაგოგის წინაშეც, რომლის სახელიც სავიზიტო ბარათია მის მიერ აღზრდილი მსახიობისათვის. მათთვის ხომ ყველა თეატრის „კარი ღიაა“. თითოეულ მათგანს შლეიფივით თან დაჰყვება ბატონი შალვას წრთობა. მათ იციან, რომ როლი - ტექსტის ფანტასტიკური ფორმაა, სადაც სიტყვა ხილული ხდება და იძენს ახალი შინაარსის სახეს, რაც ხანგრძლივი ფიქრის, ტაჯვისა და შრომის ნაყოფია.

მარინა ხარატიშვილი

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, დრამის ფაკულტეტის დეკანი
თამარ ქუთათელაძე
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ქართული თეატრის კვლევის ცენტრი

„ანდალუზიური ძაღლი“

„ანდალუზიური ძაღლი“ - ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფილმი ლუის ბუნუელის შემოქმედებაში, რომელიც მისი და ლეგენდარული სალვადორ დალის ერთობლივ ნამუშევარს წარმოადგენს. ფილმი სავსეა მძაფრი, სიურრეალისტური დატვირთვის მქონე, ერთობ მძიმე და შოკისმომგვრელი სცენებით, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით ვითარდება.

ბუნუელმა და დალიმ „ანდალუზიური ძაღლის“ გადაღება მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც ერთმანეთს გაუზიარეს ნანახი სიზმრები. ბუნუელს დაესიზმრა, თუ როგორ კვეთდა მთვარეს ღრუბელი, ხოლო დალის - მინაზე დაგდებული ადამიანის, ჭიანჭველებისგან დაჭმული, მოჭრილი ხელი. ავტორებმა სათაურისთვის გამოიყენეს ანდალუზიაში გავრცელებული ჩვეულება, რის მიხედვითაც, როცა პატრონი კვდება, ძაღლი



ყმუის და ამით ყველას ამცნობს თავსდატეხილი ტრაგედიის შესახებ; სწორედ ამიტომ შეერქვა ფილმს „ანდალუზიური ძაღლი“.

კინოსურათი ზოგიერთ კრიტიკოსს მოეწონა, ხოტბა შეასხა და „სიურრეალისტური სუვენირი“ უწოდა, ხოლო სიურრეალისტმა მხატვრებმა მას ზურგი აქციეს, ავტორები გიჟებად, „უსაგნო ხუმარებად“ და ბურჟუაზიის მტრებად შერაცხეს. მის წინააღმდეგ გაილაშქრა ეკლესიამაც.

„ანდალუზიური ძაღლი“ ბევრი სიურრეალისტური სიმბოლოთია დახუნძლული. მასში მეტაფორულ სახეებზე დაყრდნობით გადმოცემულია ადამიანის განცდები, დამოკიდებულება მორალურ პრინციპებთან. ბუნუელმა მოგვიანებით მიუთითა, რომ სახელწოდების პათოსიდან გამომდინარე, გულისხმობდა საზოგადოების აღსასრულს და ამას აჩვენებდა უჩვეულო მხატვრული ხერხებით, ასოციაციური ფორმებით მაყურებლის შოკში ჩაგდების მიზნით.

ფილმში გამოხატულია პიროვნების არაცნობიერი

განცდები, იგი მთლიანად ალოგიკურ მოქმედებაზეა აგებული; პერსონაჟები წარმოადგენენ იმას, რაც მათ ქვეცნობიერში იმალება. „ანდალუზიური ძაღლი“ თავისუფლად შეიძლება დავუკავშიროთ ზ. ფროიდის ფსიქონალიზს, რომლის მიხედვითაც, არაცნობიერის მიღმა არსებული ფსიქოლოგიური ფენომენის წარმოჩენა ხდება. პერსონაჟები წარმოსახვით ცდილობენ იმ სურვილების რეალიზებას, რაც მათ ქვეცნობიერში აქვთ. ფსიქონალიზის მიხედვით, შემოქმედების მასტიმულირებელი ბიოლოგიური მოთხოვნები არაცნობიერია, ანუ მის შესახებ ადამიანმა არაფერი იცის. ფროიდის აზრით, ეს შეიძლება ფსიქოლოგიური ტრავმის ჩამოყალიბების მიზეზად იქცეს.

მაინც რა აისახა რეალურად ფილმში? უწინარეს ყოვლისა, ახალი აზროვნების, ახალი ცნობიერების, რევოლუციური ცნობიერების ჩამოყალიბება. ყველა არსებული ღირებულება, რომელთაც სოციალურ-კულტურული სტატუსი ჰქონდა, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ყოფისა და აზროვნების ლოგიკა, რომელიც მანამდე შეურყეველი ჩანდა, უეცრად წარმოგვიდგა როგორც ძველი და უძლური ცრურწმენა და სულაც, არა როგორც — ურყევი ლოგიკური მოცემულობა. სილოგიზმები, რომელთა მეშვეობითაც აზროვნებდნენ ადამიანები ათასწლეულების განმავლობაში, უსარგებლო აღმოჩნდა იმ სიტუაციაში, რომლებშიც მოქმედებენ ფილმის გმირები. ნებისმიერი სხვა ლოგიკის მიხედვით, მამაკაცი, რომელიც ქალს მისდევს, უნდა დაენიოს და, შესაძლოა, გააუპატიუროს კიდევ იგი, ან რაიმე ბედნიერმა შემთხვევამ შეიძლება ქალი გადაარჩინოს. ამ ფილმში კი მადევარის ხელი კარებში ყვება, გახვრეტილი ხელის გულზე ჭიანჭველები ფუსფუსებენ (სიზმარი, რომელიც სალვადორ დალის დაესიზმრა). სისხლის ლაქები პეპლებად იქცევა, ნიგნები - რევოლვერებად და ა.შ. მაყურებელს არ შეუძლია წინასწარ გამოიცნოს ფილმის არც ერთი ეპიზოდი, რადგან ყველაფერი ხდება არა ყველასთვის მიღებული, ყოველდღიური ლოგიკის თანახმად, არამედ სიზმრებისა და ოცნებების დაუნერევი ახირებული ლოგიკით; მაგრამ საქმე მხოლოდ ის როდია, რომ საღი აზრის თვალსაზრისით აუხსნელია რეალურ საგანთა გადაქცევა. მთავარი აქ ისაა, რაც ამ გადაქცევით იმალება: ადამიანისა და ადამიან-ურობის გამოცდა (სამართლებლით გასერილი ქალის თვალის ეპიზოდი - სიზმარი, რომელიც ბუნუელმა ნახა) - მშვიდად და აუღელვებლად ვუყუროთ ყოველგვარ სისაძაგლეს, რასაც მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები და მათ შორის სახელმწიფო მოღვაწეები სჩადიან,

➤ 8. გვ.

„ანდალუზიური ძაღლი“


დასაწყისი 7 გვ.



თუ ბოლო უნდა მოეღოს ამ საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ ანარქიზმს? უნდა შევურიგდეთ არსებულ ცრურწმენებს, ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების შელახვას, თუ საჭიროა ბრძოლა ამის წინააღმდეგ? სიყვარულს უნდა ახლდეს ძალადობა, თუ უნდა გათავისუფლდეს ყოველგვარი იძულებისა და დამცირებისგან? ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა ადამიანის თვითგვემა და საკუთარი თავისგან განდგომა, არამედ საკუთარი თავის ძიება, თვითჩამოყალიბება და თვითდამკვიდრება, რაც უნდა განხორციელდეს აქტიური, ინდივიდუალური და სოციალური ქმედებით; ოცნებების, იმედებისა და მოლოდინების განხორციელებით. „ანდალუზიური ძაღლის“ სიზმრებისა და ოცნების ლოგიკით უნდა გაელვძიებინა ადამიანი ლეთარგიული სოციალური ძილისაგან, გაეწმინდა მისი ცნობიერება ყოველგვარი უკეთური შეხედულებებისა და ცრურწმენებისაგან, დახმარებოდა მას საკუთარი თავის ძალისა და სისუსტეების შეცნობაში, ხელი შეეწყოს მისთვის, გამხდარიყო ის, რასაც ისურვებდა ყოფილიყო.

მიუხედავად იმისა, რომ სიურეალიზმი გარკვეულად ფროიდის ფსიქოანალიზს ეყრდნობოდა, ბუნუელი არ ცნობდა თავისი ფილმების ფსიქოანალიტიკურ განმარტებებს. მაგალითად, ეპიზოდი ფილმიდან „ანდალუზიური ძაღლი“ - როცა გმირი, მიბმული თოკებით ორ გოგრაზე, ორ მღვდელთან და მკვდარ ვირთან ვერაფრით ახერხებს აკოცოს ქალს, - ფსიქოანალიტიკოსების მიერ ამგვარად იყო განმარტებული: სიყვარული (გმირის ვნებიანი სწრაფვა) და სექსუალური ლტოლვა (გოგრები) „დამუხრუჭებულია“ (თოკები) რელიგიური ცრურწმენებით (სამღვდლო პირები) და ბურჟუაზიული აღზრდით (როიალი და მკვდარი ვირი). შეიძლება ითქვას, რომ სიურეალისტური მეტაფორების უკან იმალება იმდროინდელი ახალგაზრდობის უკიდურესი ანარქისტული ჯანყი.

მიუხედავად ამისა, გასათვალისწინებელია ის ვითარებაც, რომ არც ბუნუელი და არც ძაღლი არავითარ სიმბოლურ ქვეტექსტს არ გულისხმობდნენ და თუკი მაინც ფროიდისტული იყო რაიმე, ეს იყო - ქვეცნობიერი. მათი ძირითადი ამოცანა სასაცილო და საშინელი გეგებით აღსავსე ანარქიული ფილმია, რათა გამოეწვიათ სკანდალი, პუბლიკის ეპატირება და, საბოლოო ჯამში, მიეპყროთ ყურადღება. პარადოქსული და უწესრიგო მონტაჟი, რომელიც აბსურდის ცნებიდან გამომდინარეობდა, მათი ფანტაზიის შედეგი იყო, რომელიც ახალ პოეტურ მეტაფორებს ქმნიდა. ავტორთა ამბოხი - „ყველაფრისა და ყველას წინააღმდეგ“ - გადმოიღვარა ამ ფილმის უკიდურეს გულწრფელობაში. კინოფორზე განხორციელებული სიურრეალიზმის აპოთეოზი გამოვლინდა მაგალითად ისეთი კადრებით, როგორებიცაა - ღრუბლის ვინრო ზოლით გაპოხილი მთვარე ან სამართებლით გაჭრილი თვალი. ფილმში ჰალსტუხი ცეკვავს საყელოსთან ერთად, რომელიც ბავშვურ სიზმრებს მოგვაგონებს (რაც ანდერსენის ზღაპრების გავლენით გაჩნდა), ხოლო მოკლედ შეჭრილთმანი, მამაკაცურად გადაცმული ქალი



ცდილობს ამპუტირებული ხელის გახვრეტას ტროსტით - თითქოს ყოველივე ეს ნონსენსია. მაგრამ აქ უკვე ბუნუელის პირველ ფილმში გამოვლინდა მისი მაგიური ჰიპნოზი, ბრბოდან აღებული ადამიანების მსხვილ პლანზე ჩანს, როგორ აკვირდებიან ისინი ტროსტის ფარიკაობას მკვდარ სხეულთან, ნებსით თუ უნებლიეთ ეს კადრები აიძულებენ მაყურებელს, თავი იგრძნოს ამ ბრბოს ნაწილად; ხოლო წინა ეპიზოდი, როცა ჭიანჭველები პერსონაჟის ცოცხალ ხელში ბუდეს იჩენენ, ზიზღს იწვევს, რომელიც ვრცელდება ორივე აუდიტორიაზე - როგორც ეკრანზე, ისე კინოდარბაზში. ამგვარად ახდენს ბუნუელი მაყურებლის ემოციათა მონტაჟს. სწორედ ამიტომ ფილმის პირველად ჩვენებისას მაყურებელმა ქუდები და ტროსტები ესროლა ეკრანს.

ბუნუელი წერდა: „ანდალუზიური ძაღლის“ მეტად თუ ნაკლებად გამომგონებლური განმარტებები მომისმენია და წამიკითხავს, მაგრამ

ყველა ერთნაირად შორს არის ჭეშმარიტებისგან. საღვადორ დალისთან ერთად, ჩვენ ვიღებდით გეგებსა და საბნებს, როგორც კი შეიძლება აზრად მოგვსვლოდა და შემდეგ, ამ გროვიდან უკუვაგდებდით დაუნდობლად ყველაფერს, რასაც კი შეიძლება რაიმე აზრი ჰქონოდა“. აქ ოსტატი ცოტათი ეშმაკობს, რადგან ამ მხიარული კლოუნადის უკან იმალება პროტესტი და ანარქისტული ამბოხი. არ არის შემთხვევითი ლენინისა და დალაილამას გახსენება, დაგმობილია ფულიც, შრომაც, რელიგიაც და გონებაც; არც ნიგნები -რევოლუციები, რომლითაც თავის ორეულს კლავს ფილმის გმირი, ისევე როგორც არ არის

შემთხვევითი სიურრეალიზმის ფუძემდებლური შეკითხვა: „განა თვითმკვლელობა გამოსავალი არ არის?“ - ამ შეკითხვას მოჰყვება ვერონალის სასიკვდილო დოზა. პირველი სიურრეალისტური ეპატაჟი, კლოუნადა, შავი იუმორი გაჩნდა იმდენად არა ნესების დაუნდობელი უარყოფით, რამდენადაც ახლის მტანჯველი და გულწრფელი ძიებებით ხელოვნებასა და ცხოვრებაში, და ამ გულწრფელობას არ შეიძლება გამოძახილი არ ეპოვა აუდიტორიაში - თუნდაც მაშინვე არა, არამედ - დროთა განმავლობაში.

ნუცა კობაიძე

სწუდიანეთა სუფი

უფლება მქონდა მეცოცხლა...

თოვლი. ზამთარი. ისმის სევდიანი მელოდია, ცხელ შოკოლადს ვსვამ და ფანჯარაში ვიყურები, ბიჭები ჩხუბობენ.

ზოგიერთი იკითხავს - და რა არის აქ ისეთი?! - სამნიერთზე, როგორც ყოველთვის. უსამართლობაა ეგრეთ წოდებული „კაი ბიჭების რაზმორკები“.

პირველად მაღალმა დაარტყა, რალაცას ყვირიან, იგინებთან.

ჰო, ალბათ იგინებთან, სხვას რას იზამენ უსაქმური ახალგაზრდები, რომლებიც არც სწავლობენ, არც მუშაობენ.

ჰმ, პირველი დარტყმა არ აღმოჩნდა მტკივნეული, კარგად გაუძლო...

რატომღაც დამაინტერესა ამ რიგითმა ჩხუბმა, - „ბრძოლა არაკანონიერი ნესებით“!...

მსუქანმა ნააქცია...

შოკოლადი ძალიან ცხელია და რაფაზე დავდგი.

ფეხებს ურტყამენ მუცელში...

ალარ მინდა ამ საშინელების ყურება. რატომ არ შეიძლება, ეს სცენა ჩემი ოთახის ფანჯრიდან სხვა „არხზე“ გადავრთო?! კომედიას ნახავდა კაცი...

დანა...

ალბათ, დაჭრიან, როგორც წინა კვირას ის რიჟა დაჭრეს. უბანში ამბობდნენ, ძმაკაცს შეყვარებული დაანერაო. ნეტავ, ამაზე რას იტყვიან?!

წამოდგა...

რალაც საინტერესოა... ეგებ არც დაჭრან?! გაიქეცი! გაიქეცი ამ „სამართლისგან“! ჰმ, ვეძახი, თორემ უცებ არ გაიგოს... ყველაფერი უეცრად მოხდა... თეთრი თოვლი ალარ არის თეთრი.

ნაიქცა...

მჯერა, რომ ცოცხალია! რატომ არ ინძრევა?! ჩავიდე?! ვუშველი?! მეშინია... არც ინძრევა და არც არავინ ჩანს გარშემო. არა, უეჭველი ცოცხალია. აი, ახლა წამოდგება და ნავა სახლში. ვითომ, არაფერი

მომხდარა... ადგება, მჯერა!

არ ინძრევა... თოვლი კი თითქოს სამუდამოდ შეილება „სამართალში“.

ჩემი შოკოლადი დიდი ხნის გაციებული იყო, მეზობელი გუშინდელ ამბავს ყვებოდა: - იმ ბიჭმა ათასლარიანი მობილური შეაწერაო და მაგიტომ მოკლესო, აღარც ფულის მიტანა არ უნდოდა და მობილურიც სადღაც გაუქრია, ჩემმა შვილმა თქვა, არც აღიარაო, რომ მაგან მოიპარაო, ხო და მაგიტომ მიიღო თავისიო, დამნაშავე უნდა დაისაჯოსო.

- არა, კი, უნდა დაისაჯოს დამნაშავე, მაგრამ ასე?! ერთი მობილურის გულისთვის სიცოცხლე უნდა წაართვან ?!

- იქნებ, არც მოუპარავს, ვინ დაუმტკიცა ქურდობა, ვიცნობდი მაგ ბიჭს, მუსიკაზე დადიოდა, გიტარაზე დაკვრას სწავლობდა, ჯგუფის შექმნაზე ოცნებობდა...

- იქნებ, მაგან მოიპარა... ყველამ იცის, რომ მაგისი გაკეთებულია, ერთი ეგ იყო უცხო სუფრაზე, აბა ძმაკაცი ხომ არ მოპარავდა ძმაკაცს?! არა, ნამდვილად არ უნდა მოეკლათ, მაგრამ დამნაშავე უნდა დასჯილიყო.

- დალოდებოდნენ მერე გამოძიებას, პოლიცია თავად დასჯიდა...

მეზობელი არ ცხრებოდა. მართალია, მკვლელობას არც ის ამართლებდა, მაგრამ საზოგადოებაში მიღებული ნესები, რომლებიც ხშირად არ ემთხვევა სახელმწიფოს მიერ მიღებულ კანონებს, ძალიან მაღიზიანებდა. რატომ არ უნდა მიმართო სახელმწიფოს უსამართლობის დროს და რატომ უნდა ალავლინო სამართალი მარტომ?! რატომ არსებობს ეს „კაი გაგება“ დღემდე, რატომ ფიქრობენ, რომ თუ შველას ითხოვ უფროსი



უფლება მქონდა მეცოცხლა...

დასაწყისი 9 გვ.

თაობისგან, ჩამშვები ხარ?! ერთადერთი, რამაც მცირედი მინიშნება მომცა ჩემს კითხვაზე, ისევე ჩემი მეზობელი ქალი იყო, ალბათ შემთხვევით, მაგრამ ძალიან სწორი აზრი გამოთქვა დღესდღეობით არსებულ კონფლიქტთან დაკავშირებით:

– ვინ დაუმტკიცებს?! ვინც დაინახა, ყველა გაჩუმდება!

არ ვიცი, რა იგულისხმა, მობილურის მოპარვა, თუ მკვლელობა, მაგრამ ნამდვილად მართალი გახლავთ, მეც ჩემად ვარ, მეც „ყველა“ ვარ. ალბათ, კიდევ დიდხანს ვიფიქრებდი ამ ცხოვრებაზე, სამართალზე და იმ მოკლულ ბიჭზე, მუსიკოსობა რომ უნდოდა, მაგრამ უცბად გამოვფხიზლდი... გავიგე, რომ რამოდენიმე ბიჭი დაიჭირეს გუშინდელ ამბავზე, დაკითხვაზე არც ერთი ხმას არ იღებდა, - აპროტესტებდნენ კანონებს, პოლიციას, სახელმწიფო სამართალს და საერთოდ, ამ ცხოვრებას. გავიკითხე მათი მშობლების ვინაობა, მაინტერესებდა მათი საქმიანობა...

– პრობლემა, რომელიც დღეს არსებობს და 17 წლის ახალგაზრდას მკვლელობაში ედება ბრალი, დღეს არ გაჩენილა... არც გუშინ... არც იმის წინ... ბიჭების მშობლები არ ინტერესდებოდნენ შვილებით, ზოგი საერთოდ სკოლიდან იყო გარიცხული, ზოგი კი ირიცხებოდა სკოლაში, მაგრამ არ დადიოდა... რთულად აღსაზრდელ ბავშვებს, რომლებსაც მშობლებიც კი ველარ ერევიან, რადგან თავის დროზე არ მიუთითეს, რა არის სწორი და რა არასწორი, მასწავლებლებიც ერიდებიან, ალბათ ეშინიათ შემდეგი „დამნაშავის“ ადგილი არ დაიკავონ ახალგაზრდების ცხოვრებაში.

– მოვკალით, იმიტომ, რომ დააშავა. მოიპარა, და უნდა ეგო პასუხი თავის საქციელზე... არა, მოკვლა არ გვინდოდა, უბრალოდ გვინდოდა ჩვენი კუთნილი ნივთი უკან დაგვებრუნებინა, მაგ ღორმა არც კი აღიარა... ხოდა შემოგვაკვდა, რა ვიცოდით გულში თუ მოხვდებოდა...

რა მნიშვნელობა აქვს იცოდნენ თუ არა, რომ საქართველოს სამართლის მიხედვით „მკვლელობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე“. თქვენ თვლით, რომ კანონის ცოდნის შემთხვევაში დანაშაულს არ ჩაიდენდნენ?! - ცდებით! ადამიანი, რომელსაც სახლში არ ასწავლიან კანონის დაცვას, ყოველთვის დაარღვევს მას. მერე ეს ბიჭები ციხიდან გამოვლენ, ცოლებს მოიყვანენ, შვილებს გააჩენენ და მერე ეს შვილები დაარღვევენ კანონს. მერე ჩემ მაგივრად სხვა დაჯდება და დაწერს - როგორ ვებრძოლოთ ძალადობას, როგორ დავაყენოთ ახალგაზრდები კანონის მხარეს. ამასობაში კი კანონით დამნაშავედ მიჩნეულების შვილები და ალბათ, უკვე შვილიშვილებიც, ისევე დაარღვევენ კანონს. იქნებ ახლა მაინც გავაძლიეროთ სკოლებსა და ოჯახში სამართლის სწავლება და ყველაზე პრესტიჟულ საქმიანობად კანონის დაცვა ვაქციოთ?!

სამივე ახალგაზრდას ათ-ათი წელი მიესაჯათ მკვლელობის ბრალდებით.

– ახალია?! მშვიდობაში ...

– ვაა, რა მაგარია ...

– ვინ გიყიდა?

ყველამ ვიცოდით, მის ოჯახს ამდენი შესაძლებლობა არ ჰქონდა, მაგრამ პასუხმა მაინც ყველა გააკვირვა...

– ჩემმა ძმამ მომცა, ვილაცას მოპარა და მე მომცა...

– მერე არ დაიჭერენ?

– არაა, მის მაგივრად სხვას დააბრალეს ეზოს ბიჭებმა და გაასამართლეს კიდევ, მერე ის ბიჭები დაიჭირეს, ჩემი ძმაც დაკითხეს - ხომ არაფერი იცი მოპარულ მობილურზე... ეგ იყო და ეგ...

მეტი აღარაფერი მესმოდა... დავრწმუნდი, რომ სრულიად უდანაშაულო ბიჭი, მოკლეს... მინდოდა, მათაც სცოდნოდათ, თუ რამდენად „სამართლიანად“ მოიქცნენ... მოვუყევი... არა, სახელები არ მიხსნებია, უბრალოდ ვუთხარი, რომ შეცდნენ, გგონიათ ინანეს?! არა! გაეცინათ!

არ ვიცი, რაშია ხსნა, როგორ უნდა დავარწმუნოთ ადამიანები კანონის სისწორეში, როდესაც ისინი კანონის არსებობასაც კი არ აღიარებენ... იქნებ მონასტრებში გავგზავნოთ ეს ურჩი ახალგაზრდები, იმ იმედით, რომ რწმენა უშველით?! ან უფასოდ ვასწავლოთ რაიმე ხელობა, ან მშობლებს არ მივცეთ ასეთი ახალგაზრდების გაზრდის უფლება, ან დანების გაყიდვა ავკრძალოთ, ან მკაცრი რეჟიმის სკოლები ავაშენოთ...

ამ უაზრო ფიქრებში გართული შორს წავედი... ვიჯექი და ვწერდი ჩემს პატარა ისტორიას - ჩემი ფანჯრიდან დანახული დანაშაულის შესახებ. იმედი მქონდა, რომ თუ ახალგაზრდებს ეცოდინებათ კანონი, ისინი მას დაიცავენ... არა, რა თქმა უნდა, ვცდებოდი და უმრავლესობა დღესაც ფიქრობს რომ, კანონი იმისათვის არსებობს, ხანდახან რომ დაარღვიო... მაგრამ მე, მაინც ჯიუტად ვწერდი ჩემს მოთხრობაში, რაც: საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველ პუნქტშია აღნიშნული: „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესითა და კანონიერ ძალაში შეესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.“

თამარ სიჭინავა

ხელოვნებათმცოდნეობის II კურსი
29.01.2014

ლოთი

– შე ბინძურო ლოთო! - ქუჩაში ხმა გაისმა. ბარიდან ბინძურად ჩაცმული, მოუწერიგებელი, მთვრალი ადამიანი გამოვიდა, რომელსაც ხელში არყის ბოთლი ეჭირა.

ახალგაზრდა კაცი ხალხს ყურადღებას არ აქცევს და როგორც სჩვევია - დარდიანად, ჩაფიქრებული გაუყვა ნანვიმარ ქუჩას. მანქანა წყალს შეასხამს... თითქოს არც არაფერი მომხდარა! მძლოლი თავისთვის, კომფორტულად განაგრძობს გზას. მთვრალს ჯიბეში ერთი თეთრიც არ უდევს... ან საიდან ექნება? არც პატრონი ჰყავს, არც მეგობარი. მოსალამოვდა. ისევ წვიმს. სად გაათიოს ეს საშინელი ღამე... ეჰ! ისევ ქუჩაში! ისევ სიცივეში! და ისევ მიტოვებულ ნანგრევებში, სადაც უპატრონო ძაღლებს დაუდევთ ბინა.

ლოთი? - რაღა ლოთი. მეც ხომ იმ გულცივი ადამიანების ჩამონათვალში არ შევდივარ, რომელთაც ფეხებზე ჰკიდიათ დანარჩენი უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანები... ის ადამიანები, რომელთაც არავინ ჰყავთ... არავინ, ვინც მათ მოუფლის, აჭმევს, ჩააცმევს და თბილ საძინებელში დააძინებს...

რა ჰქვია ჩვენს ლოთს სინამდვილეში, არავინ იცის... არც არავის აინტერესებს... თავის დროზე მშობლებს მალხაზი დაურქმევიათ. არადა, მალხაზი ხომ ღამაზს ნიშნავს. ეტყობა, ხალხმა იფიქრა - ამას ღამაზის არაფერი ეტყობაო და ყველამ ერთხმად ლოთი დაუძახა. ჰმ! რა სულელია ადამიანი! ხშირად ვერც კი ამჩნევს ნამდვილ სიღამაზეს. უმეტესობისთვის სიღამაზე დახვეწილ გარეგნობასა და ძვირფას ტანსაცმელთან ასოცირდება. გალოთებული მალხაზის შემხედვარე აღარავინ იხედებოდა მის გულში.

ქალაქში კიდევ ერთი მშვენიერი დღე გათენდა. რაღა მშვენიერი, ეს დღე არა თუ მშვენიერი, არამედ ყველაზე საშინელი იყო ჩვენი მალხაზისთვის... უბრალოდ, მომწონს, როცა ახალი აბზაცი სწორედ ამ სიტყვებით იწყება... ხომ კარგად ჟღერს - „ერთი მშვენიერი დღე“. სამწუხაროდ, ეს ჩვენ არ გვეხება. მალხაზს უჩვეულო სიურპრიზი ელოდა ცხოვრებისგან... ის, რასაც მთელი ცხოვრება ნატრულობდა და ვერ ბედავდა... ღვთის ემინოდა.

დილით ადრე გაღვიძდა და სწრაფად გამოვიდა ნანგრევებიდან. ჩვეულებისამებრ, სევდამორეული მიუყვებოდა გზას, ოღონდ იმ დღეს აღარ ეძებდა თავის საცხოვრებელთან

ისეთ რამეს, რასაც დასანაყრებლად ან გასათბობად გამოიყენებდა... ძებნას აზრიც აღარ ჰქონდა - ყველაფერი უკვე ძაღლებს დაეპატრონებინათ. ცხოვრება ომია! ბრძოლა - გადარჩენისთვის! სამწუხაროა, რომ მხოლოდ ამ პრაქტიკით ცხოვრობს ადამიანი.

მალხაზი ნაცნობ ქუჩას გაუყვა. ვილაცამ გვერდით ჩაუარა... კაცს რკინის კონსტრუქცია ეჭირა ხელში და მთელი მონდომებით მოათრევდა... უცებ ლოთმა ტკივილი იგრძნო ბეჭის არეში და მოიკეცა... ყურადღება არავის მიუქცევია, - თითქოს არც არსებობდეს. რა მოხდა მერე? მალხაზი წელში გასწორდა, გზა განაგრძო... შია და საკვები არ გააჩნია, დაღევა უნდა და დასალევი არ აქვს. უცებ რესტორნის გვერდით, ნაგავსაყრელთან ბუზბუბდასეული ხორცისა და ალკოჰოლური ნარჩენების მარაგი შენიშნა. გეზი რესტორნისკენ აიღო. არავის გამოპარვია, როგორ სწრაფ-სწრაფად მიირთვა ხორცი, არაყიც დალია და ცოტაოდენი ნარჩენებიც ხელს გამოაყოლა...

დაღამებამდე მთელი დღეა წინ... უპატრონოდ, ნახევრად მშვიერი და ნახევრად მთვრალი სანწყლად მიბარბაცებს ქუჩებში. დაბინდებისას კვლავ ნაცნობ ნანგრევებს შეაფარებს თავს... ხვალ ისევ გათენდება - გარეთ გამოვა ეეჰ! ასეთია ცხოვრება: დაუნდობელი, „ხანმოკლე“. აი, მივა მალხაზი თავის საცხოვრებელში და დაიძინებს. შესცივდება, რადგან პლედის არ გააჩნია, რომ ტანზე გადაიფაროს... მაინც ტკბილად დაეძინება, - მას ხომ მომავლის იმედი არასდროს დაუკარგავს, ყოველთვის სჯეროდა, რომ მომდევნო დღე წინაზე უკეთესი იქნებოდა. სიზმრებსაც ნათელს ხედავდა, მაგრამ დარდიანს...

რატომღაც ამ ღამეს არაფერი დასიზმრებია. 25 დეკემბრის დილა თენდებოდა. ხალხმა ქუჩებში მოძრაობა დაიწყო. ქალაქმაც გაიღვიძა, ახმაურდა, თითქოს სიცოცხლე ჩქეფდა. მალხაზი მთელი დღე არსად გამოჩენილა... არც არავის მოუკრავს თვალი... ბოლოს ვილაცას უნახავს.. ნანგრევებთან იწვა, ეძინა...

ეს დღე მალხაზისთვის არ გათენებულა, - მას არც გაღვიძებია და არც არავის უცდია მისი გაღვიძება...

თინათინ ემირიძე



წვიმიან ღამეში მთვრალი დავდივარ

გესმის?

- გესმის?
 - რა?
 - რაა? ჩემი ფიქრები.
- ჩემი ფიქრები სხვას ეძღვნება,
ჩემი ფიქრები ადრესატთან მისვლამდე გზაში
ბერდება,
მე ვფიქრობ ბევრს,
ვცდილობ და ვქმნი შედეგს,
მთელი ჩვენი ცხოვრება ფიქრია,
ადამიანზე მიძღვნილი სისასტიკე ცივი ქარია,
არავინ არაა ღირსი, ვესროლოთ ტალახი,
ასეთი პრობლემა არაა ჩვენი გადასალახი.
ცოდვილი ცოდვილის განსასჯელი არ არის!
ცოდვილი დასჯის დროს ველარ ახერხებს
აფარებას ფარის.
მე ბევრი ვიფიქრე ამ პრობლემაზე,
დავფიქრდი ამ ცოდვილთა ცხოვრებაზე...
გესმის?
- რა?
- პატარა პოეტიც კი ნათლად ხედავს ამ
პრობლემებს,
ის ცუდად ხედავს ადამიანთა ცრემლებს,
რატომ უნდა იყოს დღეს ასეთი
უსამართლობა?
ამ ცხოვრებაში სუფევს დიდი გაურკვეველობა.
ძალიან ცოტა ფიქრობს საზოგადოებრივ
პრობლემებზე,
უფრო ცოტა კი - დაუცველ ადამიანებზე!
ნუთუ დიდხანს გაგრძელდება ასეთი
განლაგება?
ამის გარანტი არის ადამიანთა გაგება.
გესმის?
- კი, მესმის.

ასეც ხდება ხოლმე

მკითხველო! შენ ეხლა კი კითხულობ,
თუმცა,
რატომ ფიქრობ ასე?!
რატომ ხარ სადღაც
და არა აქ?
რატომ შორს
და არა ახლოს?
რატომ ფიქრობ ასე
და აკეთებ ისე?
რატომ ფიქრობ ქონებაზე სხვისზე,

სად მიდიხარ შორს და არ რჩები აქ,
სად მიდიხარ შორს – იქ არავინ არ გიცნობს
რისთვის მიდიხარ იქ – არავინ არ დაგინდობს.
იქ – ღმერთი არ ღმერთობს,
იქ – ადამიანი არ ადამიანობს,
იქ – არსად არ არის რწმენა,
იქ – არავის აქვს გული ბავშვისოდენა.
რატომ – სადღაც
და არა – აქ?!
რატომ – შორს
და არა ახლოს?!...
– და ასეთი ფიქრებით ის წავიდა შორს....

და ბოლოს...

გზა მიდის, ის არ სრულდება,
დროც მიდის, ის არ სრულდება,
ყველას გამოემშვიდობება ნუთისოფელი,
არა აქვს მნიშვნელობა, ეს რუსი იქნება თუ
ქართველი.
ყველა სუნთქავს და ყველა არის ადამიანი,
განურჩევლად იმისა, უაზროა ის თუ
გამგებიანი,
ბევრის სიცოცხლე არის საუკუნიანი,
მაგრამ ბევრის, რატომღაც, რამდენიმე
დღიანი.
როცა ადამიანს სურს დიდხანს ცხოვრება,
მას უნდა შეეძლოს რაღაც ღირსეულის
გაკეთება,
ცხოვრებას ვერ შეცვლის პრობლემებზე
ცქერა,
ცხოვრებას შეცვლის შემოქმედების რწმენა.
არასდროს შეწყდება ლექსების წერა,
სანამ ადამიანს ღმერთის სჯერა.
ვერ წარმოვიდგენ, თუ ეს ლექსი იქცევა
ბოლოდ,
ჩემი პოეზია ამით არ შემოიფარგლება
მხოლოდ,
ცხოვრებაში არაფერია უსასრულო
არც ჩემი შემოქმედება, თუმცა შეიძლება, ეს
ლექსი იყოს ბოლო.

თინათინ ემირიძე
ხელოვნებათმცოდნეობის I კურსი
სამხატვრო აკადემია